

რედაქტორისგან



ძვირფასო მასწავლებლებო, თითქოს იოლი უნდა იყოს სიტყვების პოვნა: ახალი სასწავლო წელი დადგა და მოსალოცი სიტყვები ერთმანეთისთვის უხვად გვაქვს. მაგრამ, როცა სათქმელი ბევრია, სწორედ მაშინ გვიძნელდება ყველაზე მთავარის გამორჩევა.

უპირველესად, ჟურნალი „მასწავლებელი“ ახალი სასწავლო წლის დადგომას გილოცავთ. საინტერესო წელი დგება თითოეული ჩვენგანისთვის. წელს პირველად ეყოლება სკოლას სერტიფიცირებული მასწავლებელი და ბუნებრივია, გაიზრდება მათი რიცხვიც, ვინც სამომავლოდ შეეცდება, მაგალითი აჩვენოს მოსწავლეებს, თუ როგორ ზრუნავს ცოდნის განახლებისა და პროფესიული განვითარებისთვის.

დღეს ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, რომ მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში, ქვეყნის წარმატების საყრდენი განათლებული საზოგადოებაა, რომელშიც განვითარების მთავარ რესურსს წიგნიერი და ინფორმირებული მოქალაქეები წარმოადგენენ. ყველა სიახლე თუ ცვლილება, რომელიც განათლების სფეროში ხორციელდება, სწორედ ამ სურვილის სიცოცხლისუნარიანობის ემსახურება.

ჟურნალი „მასწავლებელი“ კვლავ შეეცდება, იყოს თქვენი გზამკვლევი რეფორმის რთულ, მაგრამ საინტერესო გზაზე. ჩვენ, თქვენთან ერთად და თქვენი დახმარებით, ვეცდებით, მოგანოდოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი და საჭირო სტატიები თუ ინფორმაცია.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ მასწავლებელი საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე მარტო აღარ ზრუნავს. ამაში მას სკოლა, კოლეგები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ეხმარება და იმედია, ურთიერთანამშრომლობით თითოეული ჩვენგანისთვის სასურველ შედეგს მივაღწევთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი



მასწავლებელი N4(10), 2010

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის
გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ჟურნალი „მასწავლებელი“
საქართველოს ყველა სკოლაში
უფასოდ რიგდება და სელმისანვლოდ
თითოეული მასწავლებლისთვის!
მოიკითხეთ ჟურნალი თქვენს სკოლაში.

რედაქოლეგია:

ბია გამულაშვილი, ნინო რევიშვილი,
თია კვინტრაძე, პაპია პაპაძე,
ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროყვა

რედაქტორი: ირაკლი კუპაძე

სტილისტი: ირმა ტაყაიძე

დიზაინი: პასიკ დანელია

ფოტო: ბელა ბაღიანაშვილი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი: მანია მინაბაძე

ჟურნალისტები:

ბელა ჩიპურიშვილი, ირმა კახურაშვილი,
მანია რაზმაძე, თამარ კაციტაძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და „მასწავლებლის“ რედაქოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149

UDC 371.1
8-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი მასწავლებელი

ღარიკაძე:

შპს „ნიგნის სამყარო“: 45 33 79

სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58

„ელვა-სერვისი“: 38 26 73, 28 26 74

ექსპერტი

5

ანა ჯანელიძე სასკოლო მზაობა

სასკოლო მზაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სკოლაში ბავშვის მომავალი წარმატებისთვის როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ-ემოციურ სფეროში. ბავშვის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია როგორც მისი მზაობა (სკოლისთვის საჭირო უნარების ფლობა), ასევე, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მზაობა, შეუქმნას მას განვითარებისა და სწავლისთვის სათანადო პირობები.



9

თეო ნეფარიძე სასწავლო პროცესის შეფასება მოსწავლის მიერ

სასწავლო პროცესის შეფასებას მოსწავლის მიერ, შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით, ბევრი უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, ეს მიდგომა მოსწავლეზე ორიენტირებული და სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა საჭიროებების ერთმანეთთან შესაბამისობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

20

მერაბ ლაბაძე გუნდრივად საინტერესო გაკვეთილი

საბუნებისმეტყველო საგნები საკმაოდ არაპოპულარულია სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები აღიარებენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობას. ეს კი მომავალი პოტენციური მეცნიერების ნიჭს ხშირად გამოუყენებელს ტოვებს და საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნოლოგიების საუკუნეში ნებისმიერი ქვეყნის განვითარების პერსპექტივას.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისთვის

ნინო ელვაძე

საგნის სწავლების მეთოდები დაწყებით საფუნჯზე გუნდრივად სწავლებისთვის

მნიშვნელოვანია, ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე პრიორიტეტული გახდეს ჯანსაღი, უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ამჟამად მუშაობს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდურ გზამკვლევზე. გზამკვლევაში თავმოყრილი იქნება ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების საგნების სწავლების სხვადასხვა მეთოდი.

27-30

35

ალექს გიორგიძე კლასის მართვა

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, პირველ რიგში, საჭიროა მათზე დაკვირვება. ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ მათ ქცევას, გავარკვიოთ, რა წარმოადგენს პრობლემას და მხოლოდ საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ უნდა შევუდგეთ მის მოგვარებას.

31

ბაია ახალია დაწყებითი სკოლა და პრობლემები

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, პირველ რიგში, საჭიროა მათზე დაკვირვება. ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ მათ ქცევას, გავარკვიოთ, რა წარმოადგენს პრობლემას და მხოლოდ საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ უნდა შევუდგეთ მის მოგვარებას.



რუბრიკები

მრგვალი მაგიდა

16

ირმა კახურაშვილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა

„მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა“, რომელიც სულ მალე მოქმედ ჩარჩო-დოკუმენტად იქცევა, მასწავლებელს ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაში, მეტად კონკურენტუნარიანს გახდის სასწავლო გარემოს.

გამოცდილება

13

თეა შავერდაშვილი რა ვიხილ ჩვენი მოსწავლეების შესახებ

ვიცით თუ არა, როგორები არიან ინტელექტუალურად წინმსწრები მოსწავლეები და როგორი უნდა იყოს სასწავლო გარემო, რომელშიც ისინი სწავლობენ?

ინოვაციური

38

ქვეყნის განათლების სისტემა და მასწავლებელი

მასწავლებლის სტატუსის, პროფესიული მომზადების და ხელფასის საკითხი მუდმივი განსჯის თემაა საქართველოში. გასაგებია – რთულია, ერთნაირად შეუწყო ხელი 76 ათასი მასწავლებლის საჭიროებებსა და ინტერესებს. ბუნებრივია ის კითხვაც, რაც ბევრ ადამიანს გასჩენია: „ნეტავ, რა ხდება სხვაგან, სადაც მასწავლებლები უკეთეს პირობებში მუშაობენ?“

ღამრიკაპელი

24

ინოვაციური სადამრიგებლო პროგრამა

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში სადამრიგებლო საათის განსახორციელებლად შეიქმნა „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლა-სების მოსწავლეთათვის“.

პრობლემა

42

გიორგი განჯელაძე სამოქალაქო აღზრდა - ზოგადი განათლების ძირითადი მიზანი

სამოქალაქო აღზრდის, როგორც დისციპლინის მიზანია, ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას.

რესურსი

45

თამარ კაციტაძე განახლებული სიბი მასწავლებლების სამსახურში

სად მოვიძიოთ ინფორმაცია თანამედროვე სწავლების შესახებ? სად და როგორ შევიძინოთ საჭირო ლიტერატურა? რა საკანონმდებლო სიახლეებს გვინებს სამინისტრო? რა გზით შევძლოთ დაფინანსების გაზრდა? როგორ მივიღოთ მონაწილეობა კონფერენციებში თუ სემინარებში?... – ამ კითხვებზე პასუხების პოვნა ინტერნეტში ერთი საიტის მონახულებით არის შესაძლებელი.

პროფესია – მასწავლებელი

47

მანია რაზმაძე სარტიფიკაცია და მასწავლებელი

რა მიზანს ემსახურება სერტიფიცირება და როგორ ჩატარდა გამოცდები, რას შესთავაზებს სამინისტრო იმ პედაგოგებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდები?

პრობლემა

50

გიორგი შრეხნიშვილი სკოლა და გენდარი

საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერული უთანასწორობა სკოლაში, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია, მაგრამ ჯერ კიდევ აქტიურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე სამყაროში.



რჩევა

53

თამარ გოგოლაშვილი საოჯახო შრომითი აღზრდა

საოჯახო შრომით აღზრდაში წარმატების მისაღწევად, აუცილებელია მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ გზაზე პირველი ნაბიჯი პედაგოგმა უნდა გადადგას, რომელიც შუალედური რგოლია სკოლასა და ოჯახს შორის.

მასწავლებლის პორტრეტი

55

ბალა ჩიკურიშვილი თანამედროვე სკოლა თანამედროვე მწარლის თვალში

რატომღაც ითვლება, რომ სკოლა წარუმატებელი კარიერის ბოლო წერტილია. მე პირიქით ვფიქრობ: სკოლა მასწავლებლებმა უნდა გახადონ პერესტიჟული და რაც შეიძლება, მეტი პროფესიონალი უნდა წავიდეს მასწავლებლად.



**ძვირფასო მასწავლებლებო, გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!
თითოეულ თქვენგანს ნაყოფიერ და წარმატებულ წელს გისურვებთ.**

2010-2011 ახალი სასწავლო წლისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლისთვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად ურთულესი სამუშაოები ჩაატარა. დაიხვეწა ეროვნული სასწავლო გეგმა, სწავლება კიდევ უფრო ინტერაქტიული გახდა. მოსწავლეთა მეტად გათვითცნობიერების მიზნით, დაინერგა ახალი საგნები – კულტუროლოგია, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საინფორმაციო ტექნოლოგიები. ახალი ნიგნებით შეივსო სკოლის ბიბლიოთეკები; გაუმჯობესდა სასკოლო ლაბორატორიები; ჯანსა-

ლი ცხოვრების მიზნით, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლდა; გამკაცრდა ნიგნის გრიფირების წესი; სკოლების უსაფრთხოების მიზნით, შეიქმნა მანდატურის ინსტიტუტი, ხოლო სკოლებში ნაღდი ფულის ბრუნვის თავიდან ასაცილებლად, სკოლის სასაბუღალტრო მოსწავლეთა საკრედიტო ბარათების სისტემა ამოქმედდა. ახალ სასწავლო წელს, ასამდე საბილოტე სკოლის ყველა პირველკლასელი საჩუქრად ნეტბუქს მიიღებს, რომელშიც, სასწავლო ნიგნების გარდა, ჩატვირთული იქნება სპეციალური პროგრამები, რაც მოსწავლეებს სწავლის პროცესს გაუხალისებს. სამინისტროს ინიციატივით, 2010-2011 წელს პირველად, სოციალურად დაუცველთა პროგრამაში მყოფი ოჯახების ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს.

ვულოცავთ ახალ სასწავლო წელს ჩვენს ღირსეულ პედაგოგებს, რომლებმაც წლების განმავლობაში ქვეყნის საამაყოდ თაობები აღზარდეს და მუდამ მზად არიან ცოდნისა და პროფესიული უნარების განახლებისთვისა და დახვეწისთვის. თქვენს მიერ განუხლები ამავი ქვეყნის წინაშე განუსაზღვრელი და ფასდაუდებელია. ჩემი, როგორც მინისტრის მხრიდან, თქვენი პროფესიონალიზმი დაფასებული იქნება. სამინისტრო თქვენ გვერდითაა თუნდაც უმნიშვნელო სიძნელის გადასალახავად, რათა ყველამ ერთად, ჩვენი შვილების ნათელი მომავალი უზრუნველვყოთ.

ყველას, მოსწავლეებს, მშობლებს, სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, თითოეულ პედაგოგს, კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს! მჯერა, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფს გამოიღებს და განუელ ამავს თაობები სათანადოდ დააფასებენ.

სიყვარულით, დიმიტრი შაჰპინი

ქვეყნის წარმატებას თუ წარუმატებლობას განათლების ხარისხი განაპირობებს. ჩვენ ყველას ჩვენი ქვეყნის წარმატება გვსურს ემსახურებოდე განათლებას და მის დამკვიდრებას ცხოვრებაში, ნიშნავს, ამენებდე ყველაზე მყარ და საიმედო მომავალს. ჩვენ ერთად უნდა დავძლიოთ პრობლემები, რითიც საბოლოოდ უარს ვიტყვით საბჭოთა სკოლის ტენდენციებზე, მასწავლებელი უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე თანამედროვე ნაწილი. ამისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, სადაც დიდი როლი აკისრია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ზოგადი განათლების ხარისხი აუცილებლად საჭიროებს გაუმჯობესებას, ამისათვის ხორციელდება და მომავალშიც იგეგმება მრავალი პროექტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი კარგად აცნობიერებს მის როლს ამ პროცესში. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ პედაგოგთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით, ასევე, გვსურს ხელი შევეწყნოთ სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მასწავლებლის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

აქტიური მუშაობის დაინყებას ვაპირებთ თბილისის, ქუთაისის, ქობულეთის და კაჭრეთის მასწავლებლის სახლებში. სადაც პედაგოგები განვითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ამაღლებენ ცოდნას შესაბამის საგანში. მასწავლებელთა სახლი უმასპინძლებს კონფერენციებს და სემინარებს, შედგება შეხვედრები ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან, ჩატარდება სამოდელი გაკვეთილები, მასწავლებლები გაეცნობიან ერთმანეთის გამოცდილებას, დაეუფლებიან უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

ასე რომ, საინტერესო და დატვირთული სასწავლო წელი გველის, ყველას მინდა წარმატება ვუსურვო საქუთარ საქმიანობაში და ყველას მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება!

პატივისცემით, გია მაჟულაშვილი

